ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

დაწყებით კლასებში ,,ვეფხისტყაოსნის'' სწავლების მეთოდიკა

ლელა მანგოშვილი
საერო სკოლა ,,ბინულის'' ქართული ენის მასწავლებელი (I-VI)

ანოტაცია:
ქართველთათვის ,,მეორე სახარებად'' წოდებული,,ვეფხისტყაოსნის'' სწავლებას ოდითგანვე უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსწავლეთა სულიერი ფორმირების თვალსაზრისით. საქართველოს უპირველესი მასწავლებელი იაკობ გოგებაშვილი დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის საჭიროდ თვლიდა პოემის ზოგიერთი თავის შესწავლას. ქართული ენის სახელმძღვანელო წიგნად დასახელებულ ,,ბუნების კარში'' იბეჭდებოდა ნაწყვეტები პოემიდან.
IV კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში (ვ.როდონაია, მ.მირიანაშვილი, ლ.ვაშაკიძე) მოცემულია ნ.დუმბაძის მოგონება ,,ჩემი რუსთაველი'', საინფორმაციო სტატია ,,პირველი ბეჭდური ,,ვეფხისტყაოსანი'' და ნაწყვეტი პოემიდან ,,უცხო მოყმე''. ავტორთა ჯგუფისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მინდა აღვნიშნო, რომ სახელმძღვანელოში აუცილებლად უნდა იყოს მოცემული რუსთაველის ბიოგრაფიული მონაცემები, ,,ვეფხისტყაოსნის'' მოკლე შინაარსი, აფორიზმები, პერსონაჟთა ამსახველი მრავალფეროვანი ილუსტრაციები.პედაგოგთა გარკვეული ნაწილი ენობრივი სირთულის გამო მიზანშეუწონლად მიიჩნევს რუსთაველის სწავლებას III-IV კლასებში, თუმცა ბევრია დამოკიდებული მასწავლებლის შემოქმედებითობაზე. ვფიქრობ, სწავლების დაწყებითი საფეხურზე მიზნად უნდა დავისახოთ და ასაკის შესაბამისად სწორად შერჩეული აქტივობების საფუძველზე, პოემაში ასახული მეგობრობა, სიყვარული, ,,ლხინში ზომიერება'' და ,,ჭირში გაუტეხლობა'' ქვაკუთხედად დავუდოთდა წლითიწლობით გავუღრმავოთ მომავალი თაობის ღირსეულ პიროვნებებად ჩამოყალიბების რთულ პროცესს.

საკვანძო სიტყვები:*,,ვეფხისტყაოსანი'', რუსთაველის კვირეული, დაწყებითი საფეხური.*

მოსწავლეებთან შეთანხმებითვაცხადებთ რუსთაველისადმი მიძღვნილ კვირეულს. მათი მონაწილეობით ვადგენთ პროგრამას და კლასში თვალსაჩინოდ ვახდენთ დემონსტრირებას. ბავშვები განსაკუთრებით აქტიურობენ დასკვნითი გაკვეთილის დაგეგმვაში.
კვირეულის განმავლობაში საკლასო ოთახს ამშვენებს რუსთაველის დიდი პორტრეტი, ხოლო თვალსაჩინოებისთვის განკუთვნილ დაფაზე ყოველდღიურად ჩავანაცვლებთ ახალი მასალის ამსახველ ილუსტრაციებს.

ISSN 1512-1801

დღე/სთ.	განსახორციელებელი ამოცანები	საჭირო რესურსები
I დღე - 1 საათი-	შოთა რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიის გაცნობა. ნ.დუმბაძის მოგონება ,,ჩემი ვეფხისტყაოსანი''	დანართი 1 –რუსთაველის ხალხური ბიოგრაფია; (ამობეჭდილი მოსწ.რაოდ.შესაბამისად) პროექტორი, პლანშეტი. ინტერნეტით მოძიებული ფოტომასალა: რუსთაველი, მესხეთი, მეფე თამარი, გელათის აკადემია, წარწერა ქვაზე, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი; სახელმძღვანელო;
II დღე - 2 საათი	,,ვეფხისტყაოსნის'' მოკლე შინაარსის გაცნობა; ,,ვეფხისტყაოსნის'' ილუსტრაციები; ,,ვეფხისტყაოსნის'' მსოფლიო გამოცემები; ნაწყვეტი პოემიდან ,,ნახეს უცხო მოყმე ვინმე''- შესწავლა.	დანართი 2 -,,ვეფხისტყაოსნის'' მოკლე შინაარსი. პროექტორი, პლანშეტი (მამუკა თავაქალაშვილის, თამარაბაკელიას, ირაკლითოიძის,ლევანცუცქირიძის,სერგოქობულაძის,ლადოგუდიაშვილის, დავით მაჭავარიანუსმ რუსუდან ფეტვიაშვილის, მიხაიზიჩის, ილუსტრაციების ჩვენება); http://mkochiashvili8.blogspot.com/p/blog-page_19.html http://www.rustveli.com/newera.php
III დღე - 2 საათი	რუსთაველის აფორიზმები. დასკვნითი გაკვეთილისთვის ლექსების შერჩევა-განაწილება; სტროფების გამეორება პოემიდან; კითხვა; ვკითხულობთ ,,ვეფხისტყაოსანს'' ჯგუფური მუშაობა - ნახატების შესრულება შერჩეული ეპიზოდების მიხედვით და საკლასო ოთახში გამოფენის მოწყობა.	დანართი 3 - აფორიზმები გ.ლეონიძის ,,ვეფხისტყაოსანს''; ვაჟა-ფშაველას ,,რუსთაველის ნეშტს''; ა.წერეთლის ,,რუსთაველის სურათზე''; ი.ნონეშვილის ,,ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს''; რ.ჭილაიას ადაპტირებული ,,ვეფხისტყაოსანი'' ფერადი ფანქრები, სახატავი ფურცლები. სახელმძღვანელო.
IV დღე - 2 საათი	თამაში ,,აფორიზმების ლოტო''; სტატია ,,პირველი ბეჭდური ვეფხისტყაოსანი''-შესწავლა; ხელნაწერები; რუსთველოლოგები; რუსთაველის პრემიის ლაურეატები;	პროექტორი, პლანშეტი - ინტერნეტით მოძიებული მასალა: ვახტანგ მეექვსე, პირველი ბეჭდური ,,ვეფხისტყაოსანი'', ხელნაწერთა ეროვნულ ინსტიტუტში დაცული ხელნაწერები; რუსთველოლოგები; http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/3238

ISSN 1512-1801

	მოსწავლეთა ხელნაწერების კონკურსი-გამოფენა;	http://www.rustveli.com/newera.php http://www.manuscript.ge/index.php?m=488 დანართი 1,2,3; სახატავი ფურცლები, ფლომასტერები
V დღე	დასკვნითი გაკვეთილი-პრეზენტაცია. კვირეულის ფარგლებში შექმნილი მასალების გამოყენებით სამახსოვრო წიგნების აკინძვა.	მიზნობრივი ექსკურსია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

კვირეულის პირველ დღეს მოსწავლეებს ვაცნობთ შოთა რუსთაველის ხალხურ ბიოგრაფიას და ვურიგებთ ამობეჭდილ მასალას. (შენიშვნა: ბავშვებსვაფრთხილებთ, რომ მასალებს განსაკუთრებული სიფრთხილით მოეპყრან, რადგან დასკვნით გაკვეთილზე მათი გამოყენებით სიურპრიზი ელით)

დანართი 1. (რუსთაველის ხალხური ბიოგრაფია)

შოთა რუსთაველი მოღვაწეობდა XII საუკუნეში. მისი ვინაობის შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ ზეპირი გადმოცემით ვიცით, რომ შოთა მესხეთის რუსთავში დაბადებულა. მისი გვარი უცნობია. რუსთაველი ზედწოდებაა, რომელიც პოეტის დაბადების ადგილის მიხედვით წარმოიშვა.

შოთა რუსთაველმა იყალთოს აკადემიაში მიიღო უმაღლესი განათლება და როგორც უნიჭიერესი მოსწავლე საბერძნეთში გაგზავნეს ცოდნის გასაღრმავებლად, სადაც მრავალი ენა და მეცნიერება შეისწავლა.

სამშობლოში დაბრუნებულ რუსთაველს თამარის მეფობის შედეგად გაძლიერებული და აყვავებული საქართველო დიდი ზეიმით შეხვდა. თამარს მთელი ერი ეთაყვანებოდა. შოთა რუსთაველმა მეფე ქალის მშვენიერებას, სათნოებას და სიბრძნეს მიუძღვნა პოემა ,,ვეფხისტყაოსანი". გენიოსი პოეტი მეფის კარზე მოღვაწეობდა და გულით ატარებდა მისდამი უდიდეს სიყვარულს.

მეფობის ბოლო წლებში თამარმა შოთა რუსთაველი იერუსალიმში გაგზავნა ჯვრის მონასტრის აღსადგენად. რუსთაველმა დედოფლის დავალება პირნათლად შეასრულა, შემდეგ ბერად შედგა და სიკვდილამდე იქ დარჩა.

მონასტრის კედელზე დღემდე შემონახულია შოთა რუსთაველის ფრესკა.

ბიოგრაფიის თხრობა მიმდინარეობს ინტერნეტსივრცეში მოპოვებული თვალსაჩინო მასალის ეკრანზე ჩვენების პარალელურად. შემდეგ ჩვეულებრივ წარვმართავთ გაკვეთილს და ვუხსნით სახელმძღვანელოში მოცემულ ნ.დუმბაძის მოგონებას ,,ჩემი ვეფხისტყაოსანი". ტექსტის სათანადოდ დამუშავების პროცესში ხდება სტროფის ,,იყო არაბეთს როსტევან..." გააზრება-გაანალიზება. ვფიქრობ, უმჯობესია, მოსწავლეებს ავუხსნათ, რომ პოემის დასაწყისი, ანუ ეპილოგი უფლის დიდებით იწყება: ,,რომელმან შექმნა სამყარო..." ასევე, ვუთხრათ, რომ რუსთაველი თავის ვინაობას დასაწყისშივე ამხელს: ,,მე რუსთველი ხელობითა"...

მეორე დღეს ვიწყებთ პოემის მოკლე შინაარსის შესწავლას.

ISSN 1512-1801

დანართი 2. („ვეფხისტყაოსნის" მოკლე შინაარსი)

ერთხელ, ნადირობის დროს, არაბეთის მეფე როსტევანმა და მისი ჯარის წინამძღოლმა-ავთანდილმა წყლის პირას ნახეს მტირალი უცხო მოყმე. მეფემ მისი გაცნობა მოისურვა, მაგრამ უცნობი გაუჩინარდა. როსტევანი დაღონდა. ავთანდილიც შეწუხდა. მეფის ასულმა თინათინმა ავთანდილს დაავალა უცხო მოყმის მოძებნა. ავთანდილი და მისი სატრფო-თინათინი ერთგულების ფიცით დაშორდნენ ერთმანეთს.

გავიდა სამი წელი. ავთანდილმა უცხო მოყმე იპოვა. იგი აღმოჩნდა ინდოეთის ერთ-ერთი მეფის შვილი-ტარიელი. მას უყვარდა მეფის ულამაზესი ასული-ნესტანი. მშობლები უცხო ქვეყნის უფლისწულზე აპირებდნენ ქალის გათხოვებას. ნესტანს ძალიან უყვარდა სამშობლო და არ სურდა ინდოეთში სპარსელების გაბატონება. მისი რჩევით ტარიელმა სასიძო მოკლა. ნესტანი გამზრდელმა დასაჯა და შორს გადამალა.

ტარიელი დიდხანს ეძებდა სატრფოს. ბოლოს გაშორდა ხალხს და უდაბნოში დაიდო ბინა. მას ტანთ ემოსა ვეფხის ტყავი, რადგან ვეფხს ამსგავსებდა ნესტანის სახეს.

ავთანდილი და ტარიელი დაძმობილდნენ. მათ მესამე ძმობილის-ფრიდონის დახმარებით აიღეს ქაჯეთის ციხე და გაათავისუფლეს ნესტანი.

გამარჯვებული ჭაბუკები თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდნენ, იქორწინეს და ძმური კავშირი დაამყარეს ერთმანეთთან.

„ვეფხისტყაოსნის" მნიშვნელობაზე საუბრის დროს მოსწავლეებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ის ფაქტი, რომ მას, როგორც საუნჯეს, გათხოვილ ქალებს მზითვად ატანდნენ, ჟამთა სვლას გაუძლო და დღემდე წარმოადგენს ქართველთათვის უდიდეს სულიერ საგანძურს, ამასთანავე, მისი პოპულარობა გასცდა საქართველოს ფარგლებს, რასაც ადასტურებს უამრავი მსოფლიო გამოცემა.ვუკითხავთ ი.გოგებაშვილის პოპულარულ სტატიას. პროექტორის დახმარებით ვაჩვენებთ ილუსტრაციებს და მსოფლიო გამოცემების ნიმუშებს.

ფრაგმენტის „ნახეს უცხო მოყმე ვინმე..." შესწავლის პროცესში სასურველია გამოვიყენოთ აქტივობა „დებატები". მისი დახმარებით მოსწავლეები მსჯელობენ, რამდენად გამართლებულია ვაჟკაცისგან „ცრემლთა ფრქვევა"...გთავაზობთ ამონარიდს დებატებიდან:

„-კაცი არ იყო, რა ატირებდა?!"

„-ცხრა მთას იქით გადაკარგეს და იტირებდა, აბა, რას იზამდა?!"

„-ვაჟაცს არ შვენის ცრემლის ღვრა, ქვითინი დიაცურადა!" და ა.შ.

ასევე, ძალიან საინტერესოდ შეიძლება წარვმართოთ დისკუსია: „არა კაც ჰკლა!"ბავშვების ერთი ნაწილი კატეგორიულად არ ეთანხმება ტარიელის ამ ქმედებას, მეორე ნაწილი კი ამართლებს მას. უმთავრესია, კამათი არგუმენტებით დაკონტრარგუმენტებით იყოს გამყარებული.განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ უცხო სიტყვების ახსნას და შესწავლას, აგრეთვე - 16-მარცვლიანი შაირის განმარტებას. ხშირად მოსწავლეები ცდილობენ ამა თუ იმ სიტყვის თავისებურად ახსნას, რაც ყოვლად დაუშვებელია. ძალზე ეფექტურია „მუსიკალური სიტყვის სკივრის" გამოყენება, რომელშიც ფერად ბარათებზე დაწერილი სტყვები თავსდება. ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მუშაობის დროს ყურადღებას ვამახვილებთ პოემის მხატვრულ მხარეზე: „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა"... „ვარდი" ამ შემთხვევაში პირისახის გამომხატველია. „გმირი" და „ლომი" ტარიელის არსის უკეთ გაგებისთვის ვუამბობთ,

ISSN 1512-1801

როგორ ჟლეტდა ხუთი წლის ბავშვი ლომებსა და ვეფხვებს, ვაჩვენებთ ხატაელებთან ბრძოლის ამსახველ კადრებს. ვფიქრობ, IV კლასის მოსწავლეებთან საჭიროა ისეთ წმიდა და სპეტაკ სიყვარულზე საუბარი, რომელიც ვეფხვებთან მებრძოლს მდუღარე ცრემლით აატირებს. სამწუხაროდ, მათთვის იოლად ხელმისაწვდომია არა ზღაპრული უფლისწულისა და პრინცესას თავგადასავლები, არამედ ტელესივრცეში ასე მომრავლებული უხამსობის ამსახველი სერიალები. სწორედ ამიტომ უნდა გავუცნობიეროთ ჭეშმარიტი სიყვარულისა და ერთგულების არსი.

მესამე დღეს განვამტკიცებთ წინა დღეებში მიღებულ ცოდნას და ვიწყებთ აფორიზმებზე მუშაობას.

დანართი 3. (შოთა რუსთაველის აფორიზმები - ბრძნული გამონათქვამები)

1. ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.
2. ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.
3. გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.
4. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.
5. ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.
6. რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია.
7. ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.
8. სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა.
9. სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.
10. ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა.
11. სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი.
12. ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა.
13. თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იწოდები.
14. ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.
15. ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,
16. გული მისცეს გულისათვის, სიყვარული - გზად და ხიდად.

სასურველია, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით შევარჩიოთ და ვთხოვოთ მათ, აირჩიონ საყვარელი აფორიზმი. ამის შემდეგ ერთმანეთს უზიარებენ, ცვლიან წყვილებში და ჯგუფებში, მასწავლებლის დახმარებით ხდება ახსნა და გააზრება. ამ აქტივობის შემდეგ ვიწყებთ დასკვნითი გაკვეთილისთვის ლექსების შერჩევა-განაწილებას, (იხ.ზემოთ) პოემიდან სტროფების გამეორებას და რ.ჭილაიას ადაპტირებული ,,ვეფხისტყაოსნის'' კითხვას. ამ დღის დამაგვირგვინებელი აქტივობაა ძალზე სახალისო ჯგუფური მუშაობა - ნახატების შესრულება შერჩეული ეპიზოდების მიხედვით და საკლასო ოთახში გამოფენის მოწყობა.

მეოთხე დღეს ვიწყებთ სახალისო აქტივობით: თამაში ,,აფორიზმების ლოტო''.ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს ვურიგებთ ფერად ბარათებს (რომლებზეც დაწერილია სამი აფორიზმის დასაწყისი, ან დასასრული) და პატარა ლამაზ კოლოფებში მოთავსებულ აფორიზმების მეორე დაწერილი აფორიზმების მეორე ნახევარს. გამარჯვებულია ჯგუფი, რომელიც სწრაფად და უშეცდომოდ შეავსებს რომელიც სწრაფად და უშეცდომოდ შეავსებს ბარათს. (თამაში შეიძლება ინდივიდუალურადაც განვახორციელოთ)

ISSN 1512-1801

აფორიზმების	რასაცა გასცემ შენია	
ლოტო		სიკვდილი სახელოვანი
	სიცრუე და ორპირობა	

შემდეგ პროექტორის დახმარებით ხდება სტატიის ,,პირველი ბეჭდური ვეფხისტყაოსანი''- შესწავლა, თვალსაჩინო რუსთველოლოგებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების გაცნობა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების ჩვენება.
დღეს დავასრულებთ სახალისო აქტივობით: ,,ნორჩი გადამწერები''მოსწავლეთა მიერ შესრულებული ხელნაწერების კონკურსი-გამოფენა;
მეხუთე დღეს დანართებს, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ ნახატებსა და ხელნაწერებს ავკინძავთ წიგნებად, კლასს დავყოფთ ჯგუფებად და გავუნაწილებთ დავალებებს:
I ჯგუფი - რუსთაველის ხალხური ბიოგრაფია.
II ჯგუფი - ,,ვეფხისტყაოსნის'' მოკლე შინაარსი.
III ჯგუფი - ნ.დუმბაძის მოგონება ,,ჩემო ვეფხისტყაოსანი''.
IV ჯგუფი - ფრაგმენტები პოემიდან
V ჯგუფი - პირველი ბეჭდური ,,ვეფხისტყაოსანი''
ასევე, კლასის ყველა მოსწავლეს განაწილებული აქვს აფორიზმები და ლექსები. რამდენიმე მათგანი საკუთარი სურვილით აკეთებს ელექტრონულ პრეზენტაციას. შემდეგ მივემგზავრებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაბოლოს, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნულ აქტივობებს განვახორციელებთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.
ასე დასრულდება შოთა რუსთველისადმი მიძღვნილი კვირეული, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად გავიხსენებთ აფორიზმებს, რათა პოემაში ასახული მეგობრობა და სიყვარული, ,,ლხინში ზომიერება'' და ,,ჭირში გაუტეხლობა'' ქვაკუთხედად დაედოს მოსწავლეთა ღირსეულ პიროვნებებად ჩამოყალიბების რთულ პროცესს. მჯერა, მოზარდები, ასაკის მატებასთან ერთად, ყოველ წელს სხვა თვალით შეხედავენ და სხვანაირად აღიქვამენ ,,ვეფხისტყაოსნის'' სიბრძნეს, რომელიც იმედსა და რწმენას გვინერგავს ყველას: ,,ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!''

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტრესურსები:

1. ალექსანდრეზარამიძე (1975). *შოთარუსთველი*. თბილისი: თბილისისუნივერსიტეტისგამომცემლობა.
2. ქართველიდაუცხოელიმწერლებიდამეცნიერები,,ვეფხისტყაოსნის'' შესახებ - (იაკობ გოგებაშვილი ,,ვეფხისტყაოსნის'' შესახებ) თბ., 2009.
3. ,,ვეფხისტყაოსანი'' - ვიკიპედია
4. http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/3238
5. http://www.rustveli.com/newera.php
6. http://www.manuscript.ge/index.php?m=488